Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
№18, ნოემბერი, 2021

იემენის კონფლიქტი: არშემდგარი სახელმწიფოს დაუსრულებელი ქაოსი

მარიამ ოქროპირიძე
სოფიკო თავშავაძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

E-mail: mariami.oqropiridze876@sps.tsu.edu.ge
E-mail: sopiko.tavshavadze958@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

იემენში, არაბული სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ სახელმწიფოში, განვითარებული ინტენსიური სამოქალაქო ომი აქტუალობას კვლავ არ კარგავს და თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. 2015 წლიდან დღემდე, კონფლიქტი გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს, მუდმივად პროგრესირებს და სერიოზულ სახესა და მასშტაბებს იძენს.

აღსანიშნავია, რომ იემენის სამოქალაქო ომში მრავალი რეგიონალური თუ საერთაშორისო აქტორია ჩაბმული. ერთ მხარეს ვხედავთ იემენის ყოფილი პრეზიდენტის, აბდ რაბუჰ მანსურ ალ-ჰადის ხელისუფლების მომხრეებს, რომელთაც ზურგს უმაგრებენ საუდის არაბეთი და მის გარშემო კოალიციის სახით შემოკრებილი სხვა სუნიტური ქვეყნები, აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. საპირისპიროდ, ჰუსიტ მეამბოხეებს თანადგომას ირანი უცხადებს. აღნიშნული იემენს ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად აქცევს.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი ხშირად უსვამს ხაზს ომის სწრაფად დასრულების აუცილებლობას, ამ უკანასკნელის მისაღწევად ეფექტიანი ღონისძიებები ჯერ კიდევ ვერ ტარდება. მშვიდობის მიღწევას ხელს მხარეთა შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი, უკომპრომისობა და სამხედრო ძალთა პარიტეტი უშლის. ამასობაში კი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეფასებით, ქვეყანა მსოფლიოს უმძაფრეს ჰუმანიტარულ კრიზისს ებრძვის, რასაც Covid-19 პანდემია და მასთან დაკავშირებული სირთულეებიც ემატება.

კვლევის მიზანია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რა ამოძრავებთ სამოქალაქო ომით შენიღბულ იემენის დაუსრულებელ კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებსა და მათ მხარდამჭერებს. ცხადია, სამხედრო დაპირისპირებაში მონაწილე თითოეული სახელმწიფო საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს, რაც უმეტესწილად ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული.

საკვანძო სიტყვები: იემენის კონფლიქტი, მარიონეტული ომი, ირან-საუდის არაბეთის „ცივი ომი“, ჰუმანიტარული კრიზისი, აშშ.

შესავალი

ახლო აღმოსავლეთი კონფლიქტებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილების მქონე რეგიონია, სადაც სახელმწიფოთაშორისი სამხედრო დაპირისპირებები ჩვეული პრაქტიკაა. ამ მხრივ, ერთ-ერთი გამორჩეული შემთხვევა გახლავთ იემენის სახელმწიფოც, რომლის უახლოესი წარსული სისხლიანი კონფლიქტებითაა სავსე. აღნიშნული ქვეყანას ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ცხელ წერტილად აქცევს.

მიუხედავად იმისა, რომ იემენში სამოქალაქო ომმა 2015 წელს იფეთქა, მას იმაზე ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. 1990 წლამდე იემენი ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად იყო გაყოფილი, რომლებიც ერთმანეთთან გამუდმებით იბრძოდნენ. გაერთიანებამ მშვიდობა მაინც ვერ

მოიტანა. შიდასახელმწიფოებრივი მდგომარეობა დაძაბული და არასტაბილური იყო. მოგვიანებით, 2011 წელს განვითარებულმა არაბულმა გაზაფხულმა იემენშიც შეაღწია და საბოლოოდ მისცა გზა მოსახლეობის მმართველი რეჟიმისადმი მასობრივ უკმაყოფილებას. კონფლიქტმაც სწორედ ამ დროიდან დაიწყო მომწიფება („Human rights in...“, 2020).

სახელმწიფო ეკონომიკურ არასტაბილურობასა და კორუფციაში იყო ჩაფლული. მალევე სამთავრობო ძალები და დემონსტრანტები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ეს უკანასკნელნი იემენის ავტორიტარული პრეზიდენტის, ალი აბდულაჰ სალეჰის 33 წლიანი მმართველობის დასრულებას მოითხოვდნენ, რასაც მიაღწიეს კიდეც. ხელისუფლების ცვლილების შედეგად სახელმწიფოს მართვის სადავეები აბდ რაბუჰ მანსურ ალ-ჰადიმ ჩაიგდო ხელში. პარალელურად გააქტიურდნენ ჰუსიტი მეამბოხეების სახელით ცნობილი ისლამისტური (შიიტი ზეიდიტების) სამხედრო-რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენლები. ისინი ძველ ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს და საერთო ძალისხმევით 2014 წელს ჯერ დედაქალაქ სანას ხელში ჩაგდება, ხოლო 2015 წელს ხელისუფლების უკან დაბრუნებაც მოახერხეს. შედეგად, ალ-ჰადი იძულებული გახდა საუდის არაბეთში გაქცეულიყო (სიხარულიძე, 2018).

ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომით გამოწვეულმა ქაოსმა ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებს, როგორებიცაა ალ ქაიდა და დაეში (ისლამური სახელმწიფო), საშუალება მისცა გაეფართოებინათ საკუთარ კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიები და განეახლებინათ ტერორისტული თავდასხმები. მაგალითად, 2015 წლის მარტში, დაეშის თვითმკვლელმა ტერორისტებმა თავი აიფეთქეს სანაში მდებარე ზაიდი შიიტების ორ მეჩეთში, რასაც 140 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა („Key facts about the war in Yemen “, 2018).

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოება, და განსაკუთრებით დასავლეთი, მტკიცედ აფიქსირებდა საკუთარ მოსაზრებას, იემენში განვითარებული მოვლენების დაუყოვნებლივ გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ, ქმედითი ნაბიჯი ამ მხრივ დღემდე არ გადადგმულა.

ამ თემაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ დაპირისპირების გამომწვევ მიზეზებზე, კონფლიქტის ხელშემწყობ ფაქტორებსა და საერთაშორისო აქტორების ჩართულობაზე, რათა დავადგინოთ, თუ რა მოტივების შესაბამისად მოქმედებენ იემენის ომში მონაწილე მხარეები.

ლიტერატურის მიმოხილვა

იემენში განვითარებული სამხედრო დაპირისპირების მიზეზებზე საუბრისას საინტერესოა სხვადასხვა ექსპერტთა მოსაზრებების განხილვა. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ლევან სიხარულიძე თავის ნაშრომში - „იემენის დავიწყებული ომი“ -ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე (*იხ. დანართი 1*). ეკონომიკური თვალსაზრისით, ტერიტორია მართლაც ერთობ გამორჩეულია: ადენის ყურის გავლით მნიშვნელოვანი რაოდენობის ნავთობის გადატანა ხდება. ჩრდილოეთით სუეცის არხი და საუდის არაბეთის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებია, ხოლო სამხრეთით - ინდოეთის ოკეანე და სავაჭრო გზები აზიური ნავთობის ბაზრისკენ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რეგიონში ირანის გავლენის ზრდის პრევენციაც. ამ მხრივ, უპირველესად, საუდის არაბეთი აქტიურობს, რომელიც აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირეა. აშშ-ის ომში ჩართვის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ტერორისტული ორგანიზაცია ალ-ქაიდა. 2001

წლის 11 სექტემბრის შემდეგ მიღებული კანონის - AUMF - (ავტორიზაცია ტერორიზმის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებისთვის) თანახმად, აშშ-ის პრეზიდენტს უფლება აქვს, გამოიყენოს ძალა ხსენებულ ტერაქტში რაიმენაირად ჩართული ან მასთან დაკავშირებული ქვეყნების, ორგანიზაციების ან ადამიანების წინააღმდეგ. ალ-ქაიდას მიერ განხორციელებული რეკრუტირებისთვის კი იემენი წლების განმავლობაში რჩებოდა მიმზიდველ და ნაყოფიერ ტერიტორიად (სიხარულიძე, 2018). საბოლოოდ, ავტორისთვის ნაკლებსავარაუდოა აშშ-ის მხრიდან კონფლიქტში ჩართვაზე უარის თქმა ზემოხსენებულ ძირითად ინტერესთა გამო, რაც დღესაც ძალაში რჩება და საუდის არაბეთის სასარგებლოდ მოქმედებს.

ალან ლისი ნაშრომში - „იემენი, როგორც ბრძოლის ველი ირანის მარიონეტული ომისა საუდის არაბეთისა და აშშ-ის წინააღმდეგ“ - აანალიზებს ირანის ქმედებებს, მის როლს დაპირისპირებაში. იგი თვლის, რომ ირანს მარიონეტული ძალების მხარდაჭერა კონფლიქტში პირდაპირი ჩარევის გარეშე, დანახარჯების მაქსიმალური დაზოგვით თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევისა და გავლენის სფეროების გაფართოების საშუალებას აძლევს. აღნიშნული ისედაც კონფლიქტური რეგიონის მეტად დესტაბილიზაციას უწყობს ხელს (Lis, 2019).

ჯერემი შარფი ნაშრომში „იემენი: სამოქალაქო ომი და რეგიონული ინტერვენცია“ საუდის არაბეთის მოტივებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ მიუხედავად დანახარჯების, აშშ-თან უკეთესი ურთიერთობების ჩამოყალიბების პერსპექტივისა და იმ დიდი ზარალისა, რაც სახელმწიფოს პრესტიჟს ომში განხორციელებული ქმედებებით მიადგა, ნაკლებსავარაუდოა, რომ ჰუსიტებსა და ირანს შორის გაღრმავებული თანამშრომლობის ფონზე საუდის არაბეთმა უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღოს, რადგან ამგვარი ნაბიჯი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის ზედმეტად დიდი საფრთხე იქნებოდა (Sharp, 2021).

მეთოდოლოგია

აღნიშნული ნაშრომი ითვალისწინებს ლიტერატურული წყაროების მიმოხილვისა და დამუშავების, იგივე სამაგიდო კვლევის (Desk Research Method) მეთოდს და მოიცავს მეორეული წყაროების სიღრმისეულ ანალიზს.

საკითხი თანამედროვე, აქტუალური და კვლავაც მიმდინარეა. საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად ძირითადად შესწავლილი და გაანალიზებულ იქნა სხვადასხვა ინტერნეტ-სივრცეში (ელექტრონული ბიბლიოთეკები, Google Scholar და სხვ.) მოძიებული ელექტრონული მასალები, იქნებოდა ეს ამა თუ იმ კვლევითი ინსტიტუტის, საგარეო პოლიტიკის კვლევითი სამსახურის ან პერიოდული გამოცემების მიერ გამოქვეყნებული სტატიები, ნარკვევები, აკადემიური მოხსენებები თუ თემასთან დაკავშირებული სხვა საჭირო და საინტერესო წერილობითი წყაროები. ამგვარად მოპოვებული ნაშრომების შესწავლამ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ რელევანტური წარმოდგენის შექმნისა და თემასთან დაკავშირებული აუცილებელი ნიუანსების დანახვის საშუალება მოგვცა.

ასევე, ყურადღება დაეთმო საერთაშორისო ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებულ შესაბამისი კვლევების, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისა და პოლიტოლოგების მიერ გაკეთებული ანგარიშებისა და მოსაზრებების, ისევე, როგორც პრესტიჟული უნივერსიტეტების მიერ გამოქვეყნებული ნარკვევების შესწავლას.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოხსენებულმა საშუალება მოგვცა პასუხი გაგვეცა ჩვენი კვლევის მთავარ კითხვებზე: რა იმალება სამოქალაქო ომით შენიღბული იემენის დაუსრულებელი კონფლიქტის მიღმა? უფრო კონკრეტულად, რა ზრახვები ამოძრავებთ კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებსა და მათ მხარდამჭერებს?

ძირითადი ნაწილი

თავდაპირველად იემენში განვითარებული სიტუაცია ტიპურ სამოქალაქო ომად შეგვეძლო ჩაგვეთვალა, თუმცა „თამაშში" საუდის არაბეთის ჩაბმამ ვითარება არსებითად შეცვალა. არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მეამბოხეებს ზურგს ირანი უმაგრებდა, ამიტომ საუდის არაბეთი 2015 წელს ჰუსიტ ამბოხებულთა წინააღმდეგ (ასევე, ჰადის რეჟიმის აღსადგენად) არაბული კოალიციის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. თანდათანობით მას მხარში ამოუდგნენ სუნიტი მეზობლები, მათ შორის, გაერთიანებული საამიროები, ქუვეითი, ბაჰრეინი და კატარი, აგრეთვე, აშშ, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი („War in Yemen", 2021).

საწყის ეტაპზე აუცილებელია განვმარტოთ, ვინ არიან ჰუსიტები, საიდან მოდის ეს სახელი და რა მიზანი აქვთ მათ. ჰუსიტთა მოძრაობა 1990-იან წლებში ჰუსეინ ბადრედინ ალ-ჰუსიტმა, იემენის ზაიდი შიიტების უმცირესობის წევრმა დააარსა. 2004 წლიდან, როდესაც იგი იემენელმა ჯარისკაცებმა სიცოცხლეს გამოასალმეს, მისი საქმიანობა მისმა ძმამ, აბდულ მალიკმა გადაიბარა. დროთა განმავლობაში ზაიდები - ერთ დროს ჩრდილოეთ იემენის საკმაოდ ძლიერი ძალა - 1980-იან წლებში საუდის არაბეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მომძლავრებულმა სალაფიტური სუნიტების იდეოლოგიამ დაჩრდილა. სწორედ ამას მოჰყვა მოგვიანებით ზაიდის სასულიერო პირების მიერ მიმდევრების მილიტარიზაცია ელ-რიადისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. მათმა წყვეტილმა აჯანყებებმა შიიტი იემენელების მხარდაჭერაც მოიპოვა, ისინი ერთობლივი ძალებით დაუპირისპირდნენ დიდი ხნის ავტორიტარული პრეზიდენტის, საუდის არაბეთის მოკავშირის, ალი აბდულაჰ სალეჰის მიერ დამყარებულ სისასტიკესა და კორუფციას, რასაც 2012 წელს სალეჰის გადადგომაც მოჰყვა და ჰუსიტთა რევოლუციურმა ჯგუფმა სახელმწიფოს ჩრდილოეთში მნიშვნელოვან ტერიტორიებზე მოიპოვეს კონტროლი. ძლიერების ზრდის პარალელურად, მათ უარი თქვეს სხვადასხვა მოლაპარაკებებში ჩართვაზე, რომლებიც იემენის ახალი მთავრობის შექმნას ისახავდნენ მიზნად. 2014 წელს ყოფილ მტერთან, სალეჰთან თანამშრომლობით, ჰუსიტებმა აიღეს დედაქალაქი სანა, ხოლო 2015 წელს ახალი პრეზიდენტის, აბდ რაბუჰ მანსურ ალ-ჰადის ხელისუფლება დაამხეს. 2017 წელს კი სალეჰი მოკლეს, ვინაიდან იგი მხარის შეცვლას, საუდის არაბეთთან ძველი თანამშრომლობის აღდგენასა და ჰუსიტების წინააღმდეგ კოალიციის ხელმძღვანელობას აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰუსიტები 2021 წლისთვის აკონტროლებენ სანას (თვალსაჩინოებისთვის იხილეთ იემენში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების რუკა - *დანართი 2* და იემენის სამოქალაქო ომის დეტალური რუკა - *დანართი 3*), ჰოდეიდას (წითელი ზღვის საპორტო ქალაქი, რომლის მეშვეობითაც იმპორტის 80% შემოდის). მათ არ აქვთ მკვეთრად და კონკრეტულად განსაზღვრული მმართველობითი ან პოლიტიკური მიზნები იემენის მიმართ (McKernan, 2018).

ჰუსიტთა წინააღმდეგ შექმნილი არაბული კოალიციის მუშაობას რომ დავუბრუნდეთ, მასში ერთიანდებიან საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, სუდანი [2015-19 წწ], ბაჰრეინი, ქუვეითი, კატარი [2015-17 წწ], ეგვიპტე, იორდანია, მაროკო [2015-19 წწ], სენეგალი, აგრეთვე, აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. თავდაპირველად კოალიციის ქმედებებმა შედეგი გამოიღო და ჰუსიტთა პოზიციებიც საგრძნობლად შესუსტდა. საჰაერო და სახმელეთო იერიშებმა თუ ბლოკადაში მოქცევამ ეს უკანასკნელნი სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსების გარეშე დატოვა. დროთა განმავლობაში კოალიციის ჩართულობის წინააღმდეგ დასავლურ სახელმწიფოთა კრიტიკა გაძლიერდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ მიერ 2018 წელს განხორციელებულ საჰაერო თავდასხმას სასკოლო ავტობუსის აფეთქება და 40 ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა (Borger, 2018).

დასავლეთის წინააღმდეგობრივი პოზიცია კიდევ უფრო გაძლიერდა ჟურნალისტ ჯამალ ჰაშოგის მკვლელობის შემდეგ. არაბი დისიდენტი The Washington Post-ის ჟურნალისტი გახლდათ, რომელიც საუდის არაბეთის ხელისუფლების მიმართ კრიტიკული განწყობით გამოირჩეოდა და ამას არც მალავდა. იგი 2018 წლის 2 ოქტომბერს გახდა სასტიკი და წინასწარგანზრახული მკვლელობის მსხვერპლი სტამბოლში, საუდის არაბეთის გენერალური საკონსულოს ტერიტორიაზე მაშინ, როდესაც იქ ქორწინებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ასაღებად მივიდა. გაერო-ს გამოძიების თანახმად, ამ საქმესთან დაკავშირებულნი არიან საუდის არაბეთის მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის პრინცი მუჰამედ ბინ სალმანი, რომლის გარეშეც სათუოა, რომ ჟურნალისტის ლიკვიდაციის ბრძანება სხვა მაღალჩინოსნებს დამოუკიდებლად და საიდუმლო ვითარებაში გაეცათ. მიუხედავად ყველაფრისა, პრინცი მომხდართან ყველანაირ კავშირს უარყოფს (Northam, 2019). სწორედ ჯამალ ჰაშოგის მკვლელობისა და იემენში სამხედრო ინტერვენციით გამოწვეული ჰუმანიტარული კრიზისის გამო 2018 წელს დანიამ, შემდეგ კი გერმანიამ, საუდის არაბეთთან იარაღის მიყიდვის შესახებ სამომავლო კონტრაქტები შეაჩერეს (Robinson, 2021).

დღეს არაბთა კოალიცია აღარ წარმოადგენს ძალას, რომელიც ინტერვენციის საწყის ეტაპზე იყო. მისი ზომა და ძალაუფლება შესამჩნევად შემცირდა. მისი მოკავშირეების ჩართულობა დროთა განმავლობაში სიმბოლური ხდება. მაგალითად, იორდანიამ და ქუვეითმა შეზღუდულ სამხედრო როლზეც უარი თქვეს და თავი ჰუსიტ ამბოხებულებსა და მთავრობას შორის მშვიდობიან მოლაპარაკებათა ხელშემწყობებად გამოაცხადეს (Jalal, 2020).

2017 წელს კოალიციიდან კატარის გამოსვლამ იემენის ომის შესახებ დისკუსიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ამ დროიდან კატარის სახელმწიფო ტელეარხმა - Al-Jazeera - ანტი-კოალიციური ხაზი მიიღო. ეს უკანასკნელი საუდის არაბეთის, არაბთა საამიროების კრიტიკითა და ჰუსიტების შეხედულებათა გავრცელებითაა დაკავებული. ალ-ჯაზირას მნიშვნელოვანი რეგიონალური და საერთაშორისო გავლენა აქვს, ამიტომ მისი განახლებული მიდგომა მკვეთრად ასუსტებს კოალიციის იმიჯს (Jalal, 2020).

2018 წელს კოალიციიდან მაროკოს გასვლამ, არაბთა გაერთიანებული საამიროების ეტაპობრივად გასვლის სტრატეგიამ, სუდანის სამხედრო ძალის მნიშვნელოვანმა შემცირებამ კოალიცია კიდევ უფრო მეტად დაასუსტა (Jalal, 2020). მსგავსი სტრუქტურული ცვლილებები გვიჩვენებს, რომ კოალიცია სავარაუდოდ კიდევ განაგრძობს დაშლას და მარტივი წარმოსადგენია, რომ საუდის არაბეთი მოკავშირეების გარეშე აღმოჩნდეს, მით უმეტეს, რომ მისი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის

მიდგომები იემენის დაუსრულებელი კონფლიქტის მიმართ იცვლება. საბოლოოდ, მივიღებთ, რომ საწყის ეტაპზე ძლიერი, ანგარიშგასაწევი კოალიცია გაქრება სასურველი, სასარგებლო შედეგების მოტანის გარეშე, მიზნის მიუღწევლად.

2019 წლის აგვისტოში სამხრეთელ სეპარატისტებსა და ჰადის ძალებს შორის მომდევნო კონფლიქტი გაჩაღდა. სეპარატისტებმა ადენი და სამხრეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავეს. ბრძოლა ნოემბერში ძალაუფლების განაწილების თაობაზე მიღწეული შეთანხმების შემდეგ შეწყდა. გასულ წელს იემენის სამხრეთით, ადენში გამაგრებულმა სეპარატისტებმა ამჟამად ქვეყნიდან გაქცეული, საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა არასწორ მართვასა და კორუფციაში დაადანაშაულეს, მასთან სამშვიდობო შეთანხმება შეწყვიტეს და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. სამხრეთ გარდამავალ საბჭოს მხარს არაბთა გაერთიანებული საამიროები უჭერს, იემენის მთავრობას კი - საუდის არაბეთი. იემენი და მისი მხარდამჭერები სეპარატისტთა აღნიშნულ ქმედებას სახიფათოს უწოდებენ და ომის განახლების სურვილს უკავშირებენ (“Yemen conflict: Southern separatists…” 2019).

2019 წელს ირანის უზენაესმა ლიდერმა ჰუსიტების მხარდაჭერა გამოაცხადა. თავის მხრივ ჰუსიტებმა მხარი დაუჭირეს ირანისეულ დესტაბილიზაციის გეგმას სპარსეთის ყურის რეგიონში, წითელ ზღვაში არსებული საზღვაო უსაფრთხოების ძალების დამუქრებასა და განდევნას, დაფარეს 2019 წელს ნავთობის საბადოებზე თავდასხმაც (Jalal, 2020). მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი გაერთიანებული ძალებით უპირისპირდებიან კოალიციას. ვხედავთ, კოალიციის საქმიანობა ამ ძალებს გაერთიანებისკენ უბიძგებს, რაც საბოლოოდ ირანის მიზნების მიღწევას, მისი გავლენის გაფართოებას უწყობს ხელს.

ამრიგად, საუდის არაბეთის ინტერვენციიდან ხუთ წელზე მეტი დროის შემდეგ, ვითარება იემენში კიდევ უფრო არასტაბილურია. ირანი გააქტიურდა საუდის არაბეთის სამხრეთ შემოგარენში, ჰუსიტებმა გაზარდეს ძალა, პრეზიდენტი ჰადი კვლავ ქვეყნის გარეთ რჩება. ჰუსიტები აღარ არიან ერთადერთი გამოწვევა იემენისთვის (Jalal, 2020).

2021 წლის 22 მარტს საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრინცმა ფაიზალ ბინ ფარან ალ-საუდმა წამოაყენა იემენის ომის დასრულების ინიციატივა. შეთავაზებაში განხილულ იქნა სხვადასხვა კომპლექსური საკითხი, რომელთა მოგვარებაც ჰუსიტებს სურდათ (მაგალითად, სახმელეთო და საზღვაო შეზღუდვების მოხსნა, ჰუსიტების მიერ კონტროლირებად ჰოდეიდას პორტში საწვავისა და საკვების შემოტანა). ინიციატივით შემოთავაზებულია კონფლიქტის მონაწილე მხარეების ჩართვა, რათა მოიძიონ ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულება. პრობლემა ის არის, რომ ჰუსიტებს ამჟამად არ აქვთ სტიმული რაიმე სამშვიდობო წინადადება მიიღონ, რადგან რეზოლუცია ეწინააღმდეგება მათ პოლიტიკურ და სამხედრო სტრატეგიას. მეამბოხეებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს თავიანთი პოლიტიკური და სამხედრო ინტერესების განვითარების საქმეში და უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებით, ვიდრე კონფლიქტის მოგვარებით (Alasrar, 2021).

მნიშვნელოვანია განცალკევებით გავაანალიზოთ აშშ-ის ჩართულობა და მისი კურსის ცვლილება უკანასკნელ პერიოდში. მიუხედავად მცირე უთანხმოებისა, თითქმის ყველა მკვლევარი ამერიკის ჩართულობის მიზეზებზე საუბრისას აღიარებს, რომ მისთვის ეს სტრატეგიული ომია, რომელშიც მთავარ სამიზნეს ირანი წარმოადგენს (Bohne, 2017). როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ-ისთვის იემენი

უმნიშვნელოვანესი ტერიტორიაა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. რეგიონის მდებარეობა მას საშუალებას აძლევს მოახდინოს ირანის გავლენის ზრდის პრევენცია, გამოიყენოს მნიშვნელოვანი ნავთობ-რესურსი, დაუპირისპირდეს ტერორისტულ ორგანიზაცია ალ-ქაიდას, რომლისთვისაც იემენი წლების განმავლობაში მიმზიდველ ტერიტორიად რჩებოდა.

2020 წელს მაიკ პომპეოს, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის განცხადებას ჰუსიტების ტერორისტული ორგანიზაციების ნუსხაში შეყვანის შესახებ ადენის აეროპორტზე თავდასხმა მოჰყვა. მომხდარს ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ცხადია, საუდის არაბეთმა ქმედებაზე პასუხისმგებლობა ჰუსიტებს დააკისრა. ახალი ადმინისტრაციის თქმით, მომხდარის შემდეგ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის ინიციატივა ჰუსიტთა ტერორისტების სიაში შეყვანის შესახებ მოლაპარაკებებსა და ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას შეუძლებელს გახდიდა, ამიტომ გადახედვას საჭიროებდა. 2021 წლის დასაწყისს ამერიკულმა მხარემ ჰუსიტების ტერორისტთა სიიდან ამოღება და მათთვის მეტი სანქციის დაკისრება გამოაცხადა. ამავე დღეს ამერიკის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა აღნიშნა, რომ დაასრულებს საუდის არაბეთის სამხედრო კოალიციის მხარდაჭერას (Hudson and Ryan, 2021).

განსხვავებით აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტისგან, რომლის ქმედებები და განცხადებები ძირითადად არსებული დაპირისპირების გამწვავებას უწყობდა ხელს, კონფლიქტის აღმოფხვრას ემსახურება აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იემენის ომში არაბული კოალიციისთვის ამერიკული დახმარების შეჩერების შესახებ. კითხვაზე - რამდენად დაარეგულირებს აღნიშნული იემენის მდგომარეობას, პასუხი არაერთგვაროვანია. მსგავსი ნაბიჯები წარსულშიც გადადგმულა, თუმცა მხარეებს კვლავაც არ სურთ საკუთარი ქმედებებით გამოწვეული შედეგების სერიოზულად შეფასება და ბრალეულობის დანახვა/აღიარება. სწორედ ამიტომ, ჯო ბაიდენის განსხვავებულმა, ინდივიდუალურმა ხედვამ შესაძლოა მართლაც შეცვალოს სამხედრო დაპირისპირებათა სერიის ბედი სასარგებლოდ ან საზიანოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ამბოხებულებისთვის იემენში არსებული ვითარება ამ ეტაპზე სრულიად სასარგებლოა და არანაირ კომპრომისზე წასვლას არ განიხილავენ (Ng, 2021).

ამრიგად, ჰუსიტებისთვის სასარგებლო აღმოჩნდა ადმინისტრაციის ცვლილება ვაშინგტონში. ამიერიდან მათ ტერორისტულ დაჯგუფებათა სიაში შეყვანა აღარ ემუქრებათ. ისინი განაგრძობენ გაეროს მიერ წარმართულ პროცესებში მონაწილეობას, რამდენადაც გაერო მათ არსებობას პატივს სცემს და აღიარებს, როგორც შეიარაღებულ არასახელმწიფო აქტორს, რაც მათთვის უდავოდ მისაღებია. გარდა ამისა, დღეს ყველაზე დიდი ყურადღება იემენში საუდის არაბეთის ინტერვენციის შემდეგ შექმნილ ჰუმანიტარულ კატასტროფაზე მახვილდება, ამიტომ ჰუსიტებისთვის სასარგებლო მდგომარეობა იქმნება, ისინი არსებული ვითარებით სარგებლობენ და დაუსჯელად განაგრძობენ ადგილობრივი მოსახლეობის შეურაცხყოფას (Alasrar, 2021). მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებათა შორისაა: ჟურნალისტების, კრიტიკოსების დაკავება, წამება, მკვლელობა; პირველადი დახმარების გასაწევად საჭირო მასალის ქურდობა; სამოქალაქო ინფრასტრუქტურის სამხედრო საქმიანობის ფარად გამოყენება; ქვეყანაში არსებულ უმცირესობათა დევნა, მათი იძულებითი გადაადგილება და სხვა (McKernan, 2018).

ჰუსიტების ქმედებები გვიჩვენებს, რომ ისინი არ აპირებენ ძალაუფლების ვინმესთან გაზიარებას. მათ უარი განაცხადეს იემენის ნაციონალური დიალოგის კონფერენციაში მონაწილეობაზე. ამბოხებულებმა თვეების განმავლობაში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ ასევე უარი თქვეს გაეროს მიერ დაფინანსებული სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებაზე ქუვეითში, რამეთუ აცნობიერებენ, რომ ინიციატივებზე უარის თქმა და ნებისმიერ გარემოებებში მეტის მოთხოვნა არის ინვესტიცია, რომელიც უზარმაზარ დივიდენდებს მოიტანს და ამ მიდგომას განაგრძობენ მანამ, სანამ სიტუაცია ამის საშუალებას აძლევთ (Alasrar, 2021).

საინტერესოა ადგილობრივი ტომების ჩართულობის ხარისხიც კონფლიქტის ესკალაციის პროცესში. იემენის მთავრობასა და ამბოხებულ ჰუსიტებს შორის გაეროს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ამ პირობებში ტომების, მათი ლიდერების ჩართულობა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეგვეფასებინა, რომ არ ვხედავდეთ, რამდენად გაუგებარია მათი როლი. მართალია, ადგილობრივმა ტომებმა შედარებით ეფექტური მექანიზმების შემუშავება სცადეს ძალადობის გავრცელების შესაზღუდად საკუთარ რეგიონებში, თუმცა მათი ჩართულობის ეფექტურობა ხშირად გადაჭარბებულადაა წარმოჩენილი. შესაბამისად, აღნიშნულ მხარეს ეროვნული დონის კონფლიქტში შუამავლის როლის შეთავსება არ ძალუძს, რადგან შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ (Al-Dawsari, 2021), ან უბრალოდ დინებას მიჰყვებიან და ზედმეტი დაძაბულობის და ისედაც რთული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას ერიდებიან.

2020 წლისთვის კონფლიქტი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, განახლებული საბრძოლო კერებში გაგრძელდა. ამასობაში, დაპირისპირებას მრავალი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე ეწირება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დახმარების ჯგუფის მიხედვით, 2015 წელს იემენში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, შიმშილითა და დაავადებებით დაახლოებით 85 000 ხუთ წლამდე ბავშვი გარდაიცვალა (Magdy, 2018). იემენში გაეროს სპეციალური დესპანი აღნიშნავს, რომ სიტუაციის დეესკალაციისთვის მათ მიერ მიღწეული პროგრესი ზედმეტად მყიფეა (“De-escalate now...” 2020). ნათელია, რომ კონფლიქტში გარეშე ძალების ჩართვის შედეგად ომმა ბუნება იცვალა და მარიონეტულ ომში გადაიზარდა, რომელშიც ყველაზე მეტად ადგილობრივი, უდანაშაულო მოსახლეობა დაზარალდა. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Freedom House 2019 წლის თებერვალში გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნავდა, რომ იემენი ფაქტობრივად განადგურებულ იქნა 2015 წელს დაწყებული სამოქალაქო ომის შედეგად. სამოქალაქო მოსახლეობა აღმოჩნდა უკონტროლო მრავალმხრივ ძალადობათა ქსელში, რასაც ემატებოდა ქვეყანაში გამეფებული შიმშილი და სხვადასხვა დაავადებების (მათ შორის ქოლერა, 2017-2018 წლებში) მასობრივი გავრცელება, რაც ვაჭრობისა და ჰუმანიტარული დახმარების შეფერხებამ განაპირობა. გაეროს ჰუმანიტარული საკითხების კოორდინირების ოფისის (OCHA) ცნობით, იემენი უმძაფრესი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე დგას, რომელსაც მოშლილი ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის სისტემის პირობებში COVID-19 პანდემია და ვირუსით გამოწვეული პრობლემები კიდევ უფრო ართულებს („Freedom in the world... “, 2019).

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს არის მარიონეტული ომი ირანსა და საუდის არაბეთს შორის, რომლის მიზანი ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონიაა. ჰუსიტების გამარჯვება საგრძნობლად გაზრდის ირანის გავლენას, რაც მძიმე დარტყმა იქნება საუდის არაბეთის პრესტიჟისათვის, ხოლო

მათი დამარცხება და ჰადის მხარდამჭერების გამარჯვება - კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საუდის არაბეთის ჰეგემონობისაკენ.

იემენში არსებული ჰუმანიტარული სიტუაცია

მედია საშუალება "Al Jazeera" 2018 წლის 26 მარტს გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა, რომ შეიარაღებულ დაპირისპირებას 2018 წლის მონაცემებით, სულ მცირე 10 000 ადამიანი ემსხვერპლა, დაახლოებით 40 000 დაშავდა. არასამთავრობო ორგანიზაციის "Save the Children" ცნობით, შიმშილისა და სხვადასხვა დაავადებების გამო 2017 წლისთვის დაახლოებით 50 000 ბავშვი დაიღუპა. 5 წლამდე ასაკის თითქმის 2.3 მილიონი ბავშვი მუდმივად არასრულფასოვნად იკვებება. 15.4 მილიონზე მეტ ადამიანს ესაჭიროება წყლის, ჰიგიენური საშუალებების მიწოდება. 20.1 მილიონზე მეტ ადამიანს დახმარება სჭირდება ჯანდაცვის სერვისებზე წვდომისთვის ("UNICEF Yemen Humanitarian Situation", 2021).

ჯანდაცვის სისტემის სიმყიფე ნათლად გამოჩნდა COVID-19 პანდემიის პერიოდშიც. პანდემიის დაწყებიდან 2021 წლის სექტემბრამდე, ქვეყანაში ვირუსის დადასტურებული 9 139 შემთხვევა ფიქსირდება. ჩრდილოეთის გუბერნიებში მხოლოდ ოთხი შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა არა იმიტომ, რომ აღნიშნულ ტერიტორიებს პანდემია არ შეხებია, არამედ იმიტომ, რომ მათი აღრიცხვა ვერ მოხერხდა ("UNICEF Yemen Humanitarian Situation", 2021).

კონფლიქტის დაწყებიდან ექვსი წლის შემდეგ იემენი კვლავ მწვავე ჰუმანიტარულ კრიზისს ებრძვის. მთლიანი მოსახლეობის 71% (მათ შორის 11.3 მილიონი ბავშვი) გადაუდებელ ჰუმანიტარულ დახმარებას საჭიროებს. გაეროს ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის ოფისის 2021 წლის მიმოხილვის მიხედვით, 20.7 მილიონი ადამიანი მძიმედ გაჭირვებულია, 4 მილიონი ადამიანი (მათ შორის 2 მილიონი ბავშვი) იძულებით გადაადგილებას აგრძელებს. 2021 წლის 11 ნოემბრის მონაცემებით, უახლოეს პერიოდში კონფლიქტის გამწვავებამ კიდევ დამატებით 33 000 ადამიანის იძულებითი გადაადგილება გამოიწვია. ("UNICEF Yemen Humanitarian Situation", 2021).

ქვეყანაში სამოქალაქო ომით გამოწვეული ქაოსი ტერორისტულ ორგანიზაციებს საკუთარ კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიების გაფართოების, ტერორისტული თავდასხმების განხორციელების საშუალებას აძლევს. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2015 წლის მარტში ISIL-ის თვითმკვლელი ტერორისტის მიერ ზაიდი შიიტების ორ მეჩეთში თავის აფეთქება, რომელსაც 140 ადამიანი ემსხვერპლა. გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა ოფისი 2019 წელს იემენის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში წერდა, რომ კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარე იყენებდა საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულ ბომბებსა და ნაღმებს, ახორციელებდა თავდასხმებს სკოლებზე, საავადმყოფოებზე და სხვა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ 2016 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში დანაკარგების (იგულისხმება ზოგადი დანაკარგი) რიცხვი მუდმივად იზრდებოდა („იემენი. უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა", 2019).

საჰაერო თავდასხმების განგრძობადობა იემენის მოსახლეობას საკვებ პროდუქტებსა და სიცოცხლისთვის აუცილებელ სამედიცინო დახმარებაზე წვდომას უზღუდავს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანახმად, თითქმის ყოველი იემენელი ბავშვი გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საჭიროებს. ბავშვები, მოხუცები, უნარშეზღუდული პირები ქრონიკულად ავადმყოფობენ.

პრობლემურია წყლით მომარაგების საკითხიც, თუმცა გაეროს ბავშვთა ფონდმა თანამშრომლებთან ერთად შეძლო და დაახლოებით ოთხ მილიონ ადამიანს უსაფრთხო სასმელ წყალზე წვდომა გაუმარტივა. მიუხედავად ამ ეტაპზე შექმნილი მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევებისა, ფონდი აქტიურად აგრძელებს სახსრების მოზიდვას ("UNICEF Yemen Humanitarian Situation", 2021).

როდესაც იემენში არსებულ ზოგად ვითარებაზე ვსაუბრობთ შეუძლებელია არ ვახსენოთ სამოქალაქო დანაკარგების განსხვავება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. ასე მაგალითად, ყველაზე მასშტაბური ძალადობა იემენის დასავლეთ ნაწილში ფიქსირდება, მაშინ, როცა აღმოსავლეთ ტერიტორია ზოგადი ძალადობის შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. სწორედ ეს ხსნის შიდა მიგრაციის მაღალ მაჩვენებელსაც, მიუხედავად იმისა, რომ იემენში შიდა გადაადგილება მკაცრად შეზღუდულია. აღსანიშნავია, რომ აკრძალვები ეხება როგორც პირთა, ასევე, ჰუმანიტარული ტვირთის გადაადგილებას („იემენი. უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა", 2019). (იხილეთ მედია საშუალების "Al Jazeera" მიერ გამოქვეყნებული ჰუმანიტარული დანაკარგის რუკა, *დანართი 4*).

პრობლემურია ბავშვებისთვის განათლების მიღების საკითხიც. მაგალითად, სექტემბერში უკიდურესი სიცხისა და კონფლიქტის გამწვავების გამო, სამხრეთის ოთხ გუბერნიაში დროებით სკოლები დაიხურა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად გაეროს ბავშვთა ფონდი განათლების სამინისტროსთან აქტიურად მუშაობს (განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სკოლების უსაფრთხოებისთვის პროტოკოლის შემუშავება, სასწავლო დაწესებულებების დამცავი აღჭურვილობებით უზრუნველყოფა და სხვ.) გარდა იმისა, რომ იემენში ბავშვებს განათლებაზე წვდომის შესაძლებლობა არ აქვთ, მათი ფუნდამენტური უფლებები (სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების) მუდმივად ირღვევა. 2021 წლის სექტემბერში გაეროს მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფმა აღრიცხა კონფლიქტში ჩართული სხვადასხვა მხარის მიერ ბავშვთა მიმართ ჩადენილი 11 მძიმე დანაშაული, ასევე, მათი დასახიჩრების 21 შემთხვევა. ეს რაც შეეხება დადასტურებულ შემთხვევებს, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ინციდენტთა რეალური რაოდენობა გაცილებით მაღალია ("UNICEF Yemen Humanitarian Situation", 2021).

ყოველივე ზემოთქმულის გამო, იემენს ხშირად მოიხსენებენ, როგორც არშემდგარ სახელმწიფოს. ქვეყანაში არსებული ზოგადი ვითარების აღწერის შემდეგ, აუცილებელია განვსაზღვროთ, რას გულისხმობს ეს ტერმინი და რატომ შეიძლება ეწოდოს იემენს არშემდგარი სახელმწიფო.

არშემდგარი სახელმწიფო (Failed State), ხშირად წოდებული, როგორც კვაზისახელმწიფო, ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ძირითად საჭიროებებს, წესრიგსა და კანონიერებას სახელმწიფოში, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად დამოუკიდებლობით ხასიათდება. მსგავსი სახელმწიფოები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ მოსახლეობას უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური გარემოთი, სტაბილური პოლიტიკური სისტემით. ასევე, მათ ხშირად ახასიათებთ ეთნიკური ნაციონალიზმის ნიადაგზე მიმდინარე ძალმომრეობა, მილიტარიზმი, რეგიონალური დაპირისპირება. არშემდგარ სახელმწიფოებს გამოარჩევთ ჩამოშლილი ინფრასტრუქტურა, გაუმართავი ჯანდაცვის და საგანმანათლებლო სისტემები, ადამიანთა განვითარების ძირითადი მაჩვენებლის გაუარესება, წიგნიერების დაბალი დონე, კორუფციის მაღალი მაჩვენებელი, ჩვილთა სიკვდილიანობის ზრდა (Barma, 2016).

ზემოხსენებული მახასიათებლებიდან არც ერთია უცხო იემენისთვის და მისი მოსახლეობისთვის. მუდმივი ძალმომრეობისა და დაპირისპირების ფონზე მიმდინარე ჰუმანიტარული კატასტროფა უკვე ამ სახელმწიფოს ძირითად მახასიათებლად იქცა. ამერიკული დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციის ("World Population Review") მიერ შემოთავაზებულ 2021 წლის მოხსენებაში იემენი არშემდგარი სახელმწიფოების სიის სათავეშია, სახელმწიფოებრივი სიმყიფის ინდექსით - 113.5, რომლითაც უსწრებს სომალს, სამხრეთ სუდანს, სირიას, კონგოს, ავღანეთსა და მისთ. ("Failed States 2021", 2021).

დასკვნა

ამრიგად, ხუთი წლის შემდეგ იემენის ომი კვლავ დაუსრულებელია. მეამბოხე ჰუსიტთა ძალაუფლება და გავლენა ქვეყანაში საგრძნობლად იზრდება. მათთვის ხელსაყრელია არსებული მდგომარეობა, ამიტომ ყველანაირ მოლაპარაკებებსა და მშვიდობიან გადაწყვეტილებებზე უარს აცხადებენ. მათთვის სტატუს-კვოს შენარჩუნება სტრატეგიულად გამართლებული ნაბიჯია. თავის მხრივ, ამ მარიონეტული ძალების მხარდაჭერით და კონფლიქტისთვის საზრდოს მუდმივი მიწოდებით ირანი პირდაპირი ჩარევის გარეშე, დანახარჯების მაქსიმალური დაზოგვით ცდილობს სპარსეთის ყურის რეგიონის დესტაბილიზაციასა და საუდის არაბეთის დასუსტების ხარჯზე საკუთარი ძალაუფლების გაზრდას. რაც შეეხება მის მთავარ მოწინააღმდეგე არაბულ კოალიციას, ხუთი წლის გადაუწყვეტელი ომის შემდეგ, კოალიციის საჯაროდ დეკლარირებული მიზნები არარეალიზებული რჩება. სტრატეგიული აზროვნების, სამშვიდობო გეგმების შეუმუშავებლობა-განუხორციელებლობამ ჰუსიტების მოძლიერებას კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი. მათი მიზანი, ამბოხებულები მშვიდობიან მოლაპარაკებებზე დაიყოლიონ და აღადგინონ ჰადის მთავრობა, სულ უფრო არარეალურ იერს იძენს.

დაუსრულებელი ქაოსის გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვნადაა შეფასებული აშშ-ის როლი. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ჯო ბაიდენის ახლებური მიდგომა სასარგებლო შედეგებს მოიტანს. ნაწილის აზრით კი, ზემოხსენებულ მიდგომას უფრო დიდი საფრთხის მოტანა და კონფლიქტის მეტად გამწვავება შეუძლია. ამის მიზეზი ისაა, რომ აშშ-ს ხელთ არანაირი ბერკეტი არ აქვს, რომლითაც ჰუსიტ ამბოხებულებს კომპრომისზე წასვლას აიძულებდა, მით უმეტეს ახლა, როდესაც ისინი იემენში მნიშვნელოვანი პოზიციის შენარჩუნებას ახერხებენ.

ეჭვგარეშეა, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად, ყოველგვარი ძალისმიერი მეთოდების გარეშე, დიპლომატიური საშუალებებით უნდა გადაწყდეს, თუმცა ამისთვის, პირველ რიგში, მხარეთა მზადყოფნაა საჭირო. საპირისპიროდ, დაპირისპირებაში ჩართული ყველა მხარე არღვევს საერთაშორისო სამართლის ძირითად ნორმებს. ხშირია სამხედრო დანაშაულები (სკოლების, სამედიცინო ცენტრების, მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებლების დაბომბვა), ტერორისტული თავდასხმები და სხვა. დასავლეთში ომის სასწრაფოდ დამთავრების აუცილებლობას აღიარებენ, თუმცა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ჯერაც არ დაწყებულა. მიზნის სისრულეში მოყვანას ხელს უშლის მხარეთა შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი, უკომპრომისობა და სამხედრო ძალთა პარიტეტი.

დანართები:

დანართი 1 - იემენის გეოპოლიტიკური მდებარეობა
(წყარო: Proshchalykin, M. ResearchGate, https://www.researchgate.net/figure/Map-of-the-Arabian-Peninsula-and-surrounding-lands_fig1_335274926)

დანართი 2 - კონფლიქტში ჩართულ მხარეთა მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები
(წყარო: BBC News. https://www.bbc.com/news/world-middle-east-29319423)

დანართი 3 - იემენის სამოქალაქო ომის დეტალური რუკა

- ჰადის მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები
- იემენის რევოლუციონერთა კომიტეტის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები
- სამხრეთ გარდამავალი მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები
- ანსარ ალ-შარიას ძალების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები
- ერაყის და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები
- ადგილობრივი, მიუმხრობელი ძალების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები



დანართი 4 - ჰუმანიტარული დანაკარგის რუკა

(წყარო: Al Jazeera Media Network. https://interactive.aljazeera.com/aje/2018/Saudi-Arabia-air-raids-on-Yemen/index.html)




წნეხის ქვეშ
არსებული
ტერიტორიები
კრიზისში
მყოფი
ტერიტორიები
კრიტიკულ
მდგომარეობაში
მყოფი
ტერიტორიები
პოპულაციის
კერები
გადაუდებელ
სიტუაციაში

ბიბლიოგრაფია

1. სიხარულიძე, ლ. (1 ოქტომბერი, 2018). *იემენის დაავიწყებული ომი.* https://tabula.ge/ge/news/613280-iemenis-davicqebuli-omi ბოლო ნახვა: 09/05/2021.
2. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის პორტალი. *იემენი. უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა.* 19 იანვარი, 2019. http://coi-mra.gov.ge/ka/2019/01/19/%E1%83%98%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%97-2/ ბოლო ნახვა: 27/10/2021.
3. Alasrar, A. F. (March 25, 2021). *For Yemen's Houthis, the status quo is the key to power.* Washington D.C: The Middle East Institute. Retrieved May 14, 2021, from the Web Site: https://www.mei.edu/publications/yemens-houthis-status-quo-key-power
4. Al-Dawsari, N. (April 26, 2021). *Peacebuilding in the Time of War: Tribal Cease-fire and De-escalation Mechanisms in Yemen.* Washington D.C: The Middle East Institute. Retrieved May 14, 2021, from the Web Site: https://www.mei.edu/publications/peacebuilding-time-war-tribal-cease-fire-and-de-escalation-mechanisms-yemen
5. Aljazeera. (25 March, 2019). *Death from above. Every Saudi coalition air raid on Yemen.* Retrieved October 27, 2021, from the Web Site: https://interactive.aljazeera.com/aje/2018/Saudi-Arabia-air-raids-on-Yemen/index.html
6. Aljazeera. (25 March, 2018). *Key facts about the war in Yemen.* Retrieved May 10, 2021, from the Web Site: https://www.aljazeera.com/news/2018/03/25/key-facts-about-the-war-in-yemen/
7. Amnesty International. (February 18, 2020). *Human rights in the Middle East and North Africa: Review of 2019; Yemen.* Retrieved May 13, 2021, from the Web Site: https://www.ecoi.net/en/document/2025850.html
8. Amnesty International. (24 March, 2020). *Yemen war: no end in sight.* Retrieved May 9, 2021, from the Web Site: https://www.amnesty.org/en/latest/news/2015/09/yemen-the-forgotten-war/
9. Barma, N. (May 17, 2016). *Failed State.* Encyclopedia Britannica, Inc. Retrieved October 27, 2021, from the Web Site: https://www.britannica.com/topic/failed-state
10. BBC. (August 11, 2019). *Yemen conflict: Southern separatists seize control of Aden.* Retrieved: July 16, 2021, from the Web Site: https://www.bbc.com/news/world-middle-east-49308199
11. Bohne, L. (July 16, 2017). *Yemen: The War That Isn't Happening Even as It's Happening.* A global nonviolent movement: World Beyond War. Retrieved May 13, 2021, from the Web Site: https://worldbeyondwar.org/yemen-war-isnt-happening-even-happening/
12. Borger, J. (August 19, 2018). *US supplied bomb that killed 40 children on Yemen school bus.* The Guardian. Retrieved May 15, 2021, from the Web Site: https://www.theguardian.com/world/2018/aug/19/us-supplied-bomb-that-killed-40-children-school-bus-yemen

13. Council on Foreign Relations. (May 6, 2021). *War in Yemen.* Retrieved May 9, 2021, from the Web Site: https://www.cfr.org/global-conflict-tracker/conflict/war-yemen
14. Freedom House. (2019). *Freedom in the world 2019 – Yemen.* Retrieved May 9, 2021, from the Web Site: https://www.ecoi.net/en/document/2016065.html
15. Hudson J., Ryan, M. (January 11, 2021). *After internal battle, Trump administration to declare Yemen's Houthis a terrorist group, raising humanitarian concerns.* The Washington Post. Retrieved May 16, 2021, from the Web Site: https://www.washingtonpost.com/national-security/yemen-terrorist-designation-houthis-war/2021/01/10/86c011a4-53b3-11eb-89bc-7f51ceb6bd57_story.html
16. Jalal, I. (April 2, 2020). *Five years on, has the Arab coalition achieved its objectives in Yemen?* Washington D.C: The Middle East Institute. Retrieved May 14, 2021, from the Web Site: https://www.mei.edu/publications/five-years-has-arab-coalition-achieved-its-objectives-yemen
17. Lis, A. (October 2, 2019). *Yemen Is a Battleground in Iran's Proxy War Against the U.S. And Saudi Arabia.* Global Security Review. Retrieved May 10, 2021, from the Web Site: https://globalsecurityreview.com/yemen-iran-proxy-war/
18. Magdy, S. (November 21, 2018). *Save the Children says 85,000 kids may have died of hunger in Yemen.* A division of Gannet Satellite Information Network: USA Today. Retrieved May 13, 2021, from the Web Site: https://www.usatoday.com/story/news/world/2018/11/21/yemen-children-hunger/2076683002/
19. McKernan, B. (November 21, 2018). *Who are the Houthis and why are they fighting the Saudi coalition in Yemen?* The Guardian. Retrieved: July 16, 2021, from the Web Site: https://www.theguardian.com/world/2018/nov/21/who-are-the-houthis-fighting-the-saudi-led-coalition-in-yemen
20. Ng, A. (March 9, 2021). *Biden wants the Yemen war to end. One expert says his actions may be making it worse.* CNBC, World Politics. Retrieved May 10, 2021, from the Web Site: https://www.cnbc.com/2021/03/09/biden-wants-yemen-war-to-end-but-may-have-worsened-it-analyst-says.html
21. Northam, J. (June 19, 2019). *U.N. Report Implicates Saudi Crown Prince in Killing of Jamal Khashoggi.* NPR. Retrieved October 27, 2021, from the Web Site: https://www.npr.org/2019/06/19/734157980/u-n-report-implicates-saudi-crown-prince-in-killing-of-jamal-khashoggi
22. Robinson, K. (February 5, 2021). *Yemen's Tragedy: War, Stalemate, and Suffering.* Council on Foreign Relations. Retrieved May 15, 2021, from the Web Site: https://www.cfr.org/backgrounder/yemen-crisis
23. Sharp, J. M. (March 12, 2021). *"Yemen: Civil War and Regional Intervention".* Congressional Research Service. Retrieved November 22, 2021, from the Web Site: https://sgp.fas.org/crs/mideast/R43960.pdf
24. UN News. (March 12, 2020). *De-escalate now, to steer Yemen off 'precarious path', UN Security Council hears.* Retrieved May 16, 2021, from the Web Site: https://news.un.org/en/story/2020/03/1059341
25. UNICEF. (November 11, 2021). *Yemen Humanitarian Situation.* ReliefWeb: a humanitarian information service provided by the United Nations Office for the Coordination of Humanitarian Affairs (OCHA). Retrieved November 24, 2021, from the Web Site:

https://reliefweb.int/report/yemen/unicef-yemen-humanitarian-situation-report-1-30-september-2021

26. World Population Review. *Failed States 2021.* 340 S Lemon Ave, Walnut, CA 91789, United States. Retrieved October 27, 2021, from the Web Site: https://worldpopulationreview.com/country-rankings/failed-states